ხელშეკრულება N 13

სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე

ქ.თბილისი "3 " თებერვალი 2012 წელი

შ.პ.ს. "ჯორჯიან მიკროსისტემს" მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით, წოდებული შემდგომში "შემსრულებელი" ერთის მხრივ და ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მ.შ. ალექსანდრე ელიაშვილის სახით, წოდებული შემდგომში "დამკვეთი", მეორეს მხრივ, ვხელმძღვანელობთ რა *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთი იძენს, ხოლო შემსრულებელი გადასცემს საინფორმაციო - საძიებო კომპიუტერულ სისტემას "კოდექსი" (ინდივიდუალური ვერსია) მონაცემთა ბაზით. "კოდექსი" რეალიზებულია ოპერაციულ სისტემა WINDOWS –XP(SP3)\VISTA\7 - ში.

1.2. კოდექსი მოიცავს 2012 წლის მიმდინარე თარიღისათვის მიღებულ და მოქმედ:

– საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, ფოსტოგრამები და ა.შ.);

– საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს;

– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებს და გადაწყვეტილებებს;

– საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

1.3. ინფორმაციული ბაზის მოცულობა შეადგენს 4 113.4 მეგაბაიტს.

1.4 CPV_ 48600000 მონაცემთა ბაზისა და ოპერატიული პროგრამული პაკეტები

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები.

2.1 შემსრულებელი ვალდებულია:

1. შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები დამკვეთს INTERNET-ის საშუალებით, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ელ.ფოსტის მისამართზე.

2.2. დამკვეთი ვალდებულია:
1. აუნაუზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში;
2. შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევისას ნაკლის ან/და დეფექტის გამოვლენიდან 5 დღეში წერილობით აცნობოს შემსრულებელს;
3. დამკვეთი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო - საძიებო სისტემა „კოდექსი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

3. სამუშაოთა ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. მონაცემთა ბაზის ინფორმაციული განახლება 2012 წელის ანაზღაურდება წელიწადში 4-ჯერ, ყოველი კვარტლის ბოლოს 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).
3.2. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებელობა გამოწვეულია ისეთი სახის გარემოებებით, რომლებიც წარმოიშობა მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით და მხარეების კონტროლს ანუ ნებას არ ექვემდებარება;
5.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს.

6. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
6.2. სადაო საკითხების გადაწყვეტისას, მხარეები ეცდებიან მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას კომპრომისების გზით.
6.3. ინფლაციური პროცესების შემთხვევაში კოდექსის განახლების ანაზღაურება შეიძლება შეცვლილ იქნას მხარეთა შეთანხმებით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და

მხარეთა იურიდიული მისამართები

7.1. ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ 2012 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება ყოველწლიურად ერთი კალენდარული წლით, თუკი მისი ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე არც ერთი მხარე არ განაცხადებს მისი შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

7.2. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „ჯორჯიან მიკროსისტემს"-ის
დირექტორი ა. მაისურაძე

ქ.თბილისი, დ.უზნაძის № 4

საიდ. კოდი: 202 268 517
საბანკო რეკვიზიტები:
პროკრედიტ ბანკი – ცენტრალური
ფილიალი
ანგ. № 360 201 012 900 209
კოდი MIBGGE22

ბ.ა.

შემსყიდველი:

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ხაშური, რუსთაველის ქ.#50
ტელეფონი: (+995) 0 368 24 21 62
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ლიბერთი ბანკი, ხაშურის ფილიალი
საბანკო კოდი: მფო:LBRTGE22
ს/კ: 243874811
ანგარიშწორების ანგარიში:
GE35LB 0125124324937000

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლის
დირექტორის მ.შ. _____ ალექსანდრე ელიაშვილი

ბ.ა.